

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული

პროფესიული საბჭოს სხდომის ოქმი

(30 მაისი, 2011 წელი; განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო)

სხდომის დღის წესრიგი:

1. სხდომის გახსნა - მისასალმებელი სიტყვა
(დიმიტრი შაშკინი - განათლებისა და მეცნიერების მინისტრი; ეროვნული პროფესიული საბჭოს თავმჯდომარე);
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგები
(ნინო ელბაქიძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სახელმწიფო პროგრამის "პროფესიული სტანდარტები განათლებაში" კოორდინატორი);
3. პროფესიულ განათლებაში სოციალური პარტნიორობის პოლიტიკის დოკუმენტის განხილვა
(მიხეილ კორმახია - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი);
4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება-მოთხოვნის ანალიზი
(დავით კერესელიძე - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე);
5. შემაჯამებელი სიტყვა და სხდომის დახურვა (სხდომის თავმჯდომარე).

სხდომას ესწრებოდნენ:

1. დიმიტრი შაშკინი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი;
2. ირინე ქურდაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე;
3. ნინო ყოჩიშვილი - ევროკავშირის წარმომადგენლობის პროექტების მენეჯერი;
4. მირიან ჩაჩავა - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
5. ომარ თედორაძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
6. ჯამბულ ბაკურაძე - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე;
7. ალექო კაჭარავა - საქართველოს მთავრობის კანცელარია;
8. ეკატერინე გაბუნია - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
9. გიორგი ავალიან - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე;
10. მიხეილ კორმახია - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია;
11. ელგუჯა მელაძე - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;
12. ირაკლი პეტრიაშვილი - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე;
13. თეა გულუა - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
14. ხათუნა ოჩიაური - საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
15. დავით ჩხეიძე - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
16. ლალი ებანოძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი;
17. დავით კერესელიძე - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი;

18. მამია ჯანჯალია - სსიპ პროფესიული კოლეჯის "აიტის" დირექტორი;
19. ნათელა პაპუნაშვილი - სსიპ პროფესიული კოლეჯის "აისის" დირექტორი;
20. დავით მჭედლიშვილი - სსიპ პროფესიული კოლეჯის "ახალი ტალღის" დირექტორი;
21. თეა კვინტრაძე - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
22. ნინო ელბაქიძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სახელმწიფო პროგრამის "პროფესიული სტანდარტები განათლებაში" კოორდინატორი;
23. თამარ სამხარაძე - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი; საბჭოს სამდივნოს წევრი.
24. ნინო კოპალეიშვილი - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ბ-ნი დიმიტრი შაშკინი, რომელმაც მოწვეულ სტუმრებს მობრძანებისთვის მადლობა გადაუხადა და აცნობა, რომ ეროვნული პროფესიული საბჭოს შემადგენლობაში განხორციელი ცვლილების შესაბამისად, საბჭოს სხდომებს თვითონ უხელმძღვანელებს. ასევე დასძინა, რომ ეროვნული პროფესიული საბჭო ფუნქციონირებას აქტიურად გააგრძელებს და 2 კვირაში ერთხელ შეიკრიბება პროფესიულ განათლებაში არსებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხის განსახილველად.

მინისტრმა აღნიშნა, რომ პროფესიული განათლების მიღების მსურველთა დასახმარებლად ქვეყნის მასშტაბით ჩამოყალიბდა სამი საინფორმაციო ცენტრი. ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ქობულეთისა და ქუთაისის საინფორმაციო ცენტრები, ხოლო თბილისის საინფორმაციო ცენტრის გახსნა იგეგმება 6 ივნისს თბილისის მერთან ერთად. მინისტრმა ისაუბრა საინფორმაციო ცენტრის ფუნქციებზე, რომ საინფორმაციო ცენტრების თანამშრომლებს შეუძლიათ დაინტერესებულ პირს მიაწოდონ მაქსიმალური ინფორმაცია პროფესიული განათლებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ და მსურველი დაარეგისტრირონ საქართველის მასშტაბით არსებულ ნებისმიერ სახელმწიფო პროფესიულ კოლეჯში. მინისტრმა აღნიშნა, რომ საინფორმაციო ცენტრების საშუალებით მაქსიმალურად გამჭვირვალე გახდება პროფესიულ პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვის პროცესი. საინფორმაციო ცენტრების მომსახურება უფასოა.

ბ-ნი დიმიტრი შაშკინი ასევე შეეხო პროფესიული კოლეჯების რეაბილიტაციის საკითხებს და აღნიშნა, რომ ფოთში უკვე დასრულდა კოლეჯის რეაბილიტაცია, წელს დასრულდება ქობულეთის პროფესიული კოლეჯის საერთო საცხოვრებლის რემონტიც. ხოლო, თელავსა და გლდანში არსებული პროფესიული კოლეჯების რეაბილიტაცია 2012 წელს განხორციელდება.

ივნისში სახელმწიფო პროფესიული კოლეჯების მიერ შეთავაზებულ პროგრამებს დაემატება კიდევ ერთი ახალი კვალიფიკაცია - ლიფტების მემონტაჟე. აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას პროფესიული კოლეჯი "იკაროსი" განახორციელებს.

მინისტრმა საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი და სიტყვა გადასცა ქალბატონ ირინე ქურდაძეს, რომელმაც ისაუბრა პროფესიული განათლების მასწავლებლის სტანდარტის მნიშვნელობაზე, რომლის შემუშავებაშიც ბევრი დაინტერესებული მხარე იყო ჩართული. მასწავლებლების მხრიდან სტანდარტის მიმდებლობა ძალიან მაღალი იყო და მზად არიან პროფესიული განვითარება ამ სტანდარტის მიხედვით განახორციელონ.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი პეტრიაშვილმა იკითხა, დაგეგმილია თუ არა პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის სერტიფიცირება, რაზეც ბ-ნმა მინისტრმა უპასუხა, რომ სერტიფიცირების გავლა აუცილებელი იქნება და როგორც სკოლის პედაგოგებმა, ისე პროფესიული კოლეჯების მასწავლებლებმა უნდა გაიარონ ატესტაცია. მიმდინარე წლის ზაფხულში ჩატარდება ტრენინგები,

ხოლო ნოემბრის თვეში იქნება ატესტაცია. მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ ატესტაცია პროფესიული კოლეჯების დირექტორებსაც შეეხებათ.

ქ-ნმა ირინე ქურდაძემ დასძინა, რომ ამ ეტაპზე, მასწავლებლებს ტრენინგები და ტესტირება ჩაუტარდებათ პედაგოგიურ და არა საგნობრივ უნარებში.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ, ბატონმა ჯამბულ ბაკურაძემ იკითხა თუ ვინ აფინანსებს ამ ტრენინგებს, რაზეც მინისტრმა უპასუხა, რომ ამ ეტაპზე ყველა ტრენინგი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და იმედია, რომ ამ პროცესში ძალიან მალე საერთაშორისო ორგანიზაციებიც ჩაერთვებიან.

ბ-ნმა ირაკლი პეტრიაშვილმა იკითხა, რამდენად შეძლებენ ზაფხულში დატრენინგებული მასწავლებლები ნოემბრის თვეში ატესტაციაზე გასვლას. ქალბატონმა ირინე ქურდაძემ განუმარტა, რომ სამინისტროს პოზიცია და მიზანი არ არის პედაგოგების ჩაჭრა, არამედ კვალიფიკაციის ამაღლება. მაშინ როცა, სამინისტრო მნიშვნელოვან თანხას ხარჯავს ინფრასტრუქტურაზე, პროფესიული განათლების ხარისხის განვითარებაზე, მათი ხელფასების გაზრდაზე, თავისთავად, პროპორციულად უნდა გაიზარდოს პროფესიულ კოლეჯში მომუშავე მასწავლებლების პროფესიული დონეც.

ამის შემდეგ, ქალბატონმა ირინე ქურდაძემ სიტყვა გადასცა სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სახელმწიფო პროგრამის "პროფესიული სტანდარტები განათლებაში" კოორდინატორს, ნინო ელბაქიძეს, რომელმაც წარმოადგინა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი და მისი სტრუქტურა. აღნიშნა, რომ შეხვედრები გაიმართა პროფესიული კოლეჯების მასწავლებლებთან, განიხილეს ეს დოკუმენტი და რიგი შენიშვნებიც შეიტანეს. სტანდარტი რამდენიმე თვეა გამოქვეყნებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საიტზე და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია მისი ნახვა და შენიშვნების გამოგზავნა. სტანდარტთან დაკავშირებული შენიშვნები განიხილება მასწავლებლის პროფესიული განვითარების თემატური ჯგუფის ფარგლებში. ქ-ნი ნინო ელბაქიძის თქმით, საქართველოს მასშტაბით არსებული პროფესიული კოლეჯების მასწავლებლების რაოდენობა შეადგენს 579-ს, აქედან 396-მა უკვე გაიარა ტრენინგი საბაზო პედაგოგიურ უნარ-ჩვევებში. უახლოეს მომავალში ამ რაოდენობის 100% იქნება დატრენინგებული.

დაისვა კითხვა ტრენინგების ხარისხის კონტროლთან დაკავშირებით, ელბაქიძემ განმარტა, რომ ხარისხის კონტროლის მრავალი მექანიზმი არსებობს, ამ შემთხვევაში იყენებენ ტესტებს - ერთი და იგივე ტესტს ავსებენ ტრენინგის დაწყებამდე და ტრენინგების დასრულების შემდეგ. ასეთი ტიპის შეფასება მოგვცემს ნათელ სურათს თუ რამდენად ნაყოფიერი იყო ტრენინგი და მასწავლებელმა რამდენად შეითვისა მიღებული ინფორმაცია, ასევე გამოიყენებენ ერთმანეთის შეფასების მეთოდსაც.

ვეროკავშირის წარმომადგენლობის პროექტების მენეჯერმა, ნინო ყოჩიშვილმა დასვა შეკითხვა, თუ როდის მოხდება პროფესიული მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცება. ირინე ქურდაძემ უპასუხა, რომ უახლოეს მომავალში მოხდება სტანდარტის დოკუმენტის დამტკიცება, რადგან დოკუმენტმა ექსპერტიზა გაიარა ყველა დონეზე, ყველა დაინტერესებულ მხარესთან, თუმცა ამ ეტაპზე დოკუმენტი ღიაა და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომია შენიშვნებისთვის.

ქალბატონი ნიკა ყოჩიშვილი დაინტერესდა, დამსაქმებლები თუ იქნებიან ჩართულნი საგნობრივ ტრენინგებში, რაზეც ქ-ნმა ირინე ქურდაძემ უპასუხა, რომ მხოლოდ სამინისტრო ვერ იმუშავებს ამ საკითხებზე და საჭირო გახდება დამსაქმებლების ჩართვა. თუმცა, სანამ ტრენინგებზე ვისაუბრებდეთ, საჭიროა სტანდარტის შემუშავება ამ მიმართულებით, რაც დამსაქმებლების აქტიური ჩართულობით უნდა განხორციელდეს.

დისკუსიაში ჩაერთო საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი, ბ-ნი ელგუჯა მელაძე, რომელმაც განაცხადა, რომ იმ აზრისგან შორს არის - დამსაქმებლები მივიდნენ პროფესიულ კოლეჯებში და მასწავლებლებს ლექციები წაუკითხონ, მაგრამ თვლის რომ ყველამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს, ამის დარეგულირებას კოლეჯებსა და დამსაქმებლებს შორის მჭიდრო ურთიერთობაში ხედავს.

ქ-ნმა ირინე ქურდაძემ აღნიშნა, რომ სწორედ შემდეგი თემაა ამ საკითხზე მიბმული, კერძოდ სოციალური პარტნიორობის დოკუმენტის განხილვა.

სოციალური პარტნიორობის დოკუმენტთან დაკავშირებით, ბ-ნმა ელგუჯა მელაძემ აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია სოციალური პარტნიორობის თემა და ძალიან ბევრი დამსაქმებელი იყო ჩართული ამ დოკუმენტის შემუშავებაში.

ბ-ნმა დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ აუცილებელია ამ დოკუმენტის გაფართოებულ სხდომაზე განხილვა. ასევე, ქ-ნი ირინე ქურდაძის განცხადებით დოკუმენტი ღია და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. მას შემდეგ, რაც შენიშვნები დაგროვდება, საჭიროა მათი განხილვა სოციალური პარტნიორობის თემატური ჯგუფის ფარგლებში და ამ დოკუმენტის სრულყოფაში მოყვანა. ამის შემდეგ შეგვიძლია დოკუმენტი განსახილველად წარვადგინოთ ეროვნული პროფესიული საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე.

ბ-ნმა დავით კერესელიძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება-მოთხოვნის ანალიზი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების (47 დაწესებულება) მიერ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილ იქნა 1017 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. 19-მა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გამოთქვა სურვილი განეხორციელებინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და სამმა პროფესიულმა კოლეჯმა გადაწყვიტა, განაცხადი შეტანა საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსის მისაღებად.

ბ-ნმა დავით კერესელიძემ ისაუბრა ანალიზის შედეგად გამოკვეთილ ყველაზე მოთხოვნად პროფესიებზე და ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დარეგისტრირებული კონტიგენტის შესახებ. ქ-ნმა ირინე ქურდაძემ აღნიშნა, რომ ბევრი გაკეთდა იმისათვის, რომ ფართო საზოგადოებას მიეღო ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, თუმცა არსებობს მიმართულებები, რომლებზეც უფრო მეტი ინფორმაციის მიწოდებაა საჭირო.

ქ-ნმა ლალი ებანოიძემ აღნიშნა, რომ სახელმწიფო პროფესიულ კოლეჯებში დარეგისტრირების უფრო მეტი მსურველი იყო, ვიდრე შეთავაზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა, ამიტომაც ბევრი მსურველი დარეგისტრირებულია მოლოდინის რეჟიმში.

ქ-ნი ნინო ყოჩიშვილი დაინტერესდა, თუ რას აკეთებს სამინისტრო იმისათვის, რომ გაიზარდოს პროფესიული კოლეჯების კონტიგენტი.

ქ-ნმა ირინე ქურდაძემ აღნიშნა, რომ სამინისტრო ზრუნავს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, რადგან დაწესებულებების სიმძლავრე უნდა გაიზარდოს. მეორე საკითხია, საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში კერძო კომპონენტის ხელშეწყობა, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების რესურსების გაზრდას. მესამე საკითხი შეეხება პროგრამების დანერგვასა და გაუმჯობესებას. მაგალითად, დამსაქმებლებიდან წამოვიდა ლიფტების ოპერატორის მომზადების საჭიროებაზე რეკომენდაცია.

ბ-ნმა დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ არსებული მონაცემებით პროფესიულ განათლებაში შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამებია პოპულარული: შემდუღებელი, ბუღალტერი სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, ელექტრიკოსი, სასტუმროს მიმღებ-რეცეფციონისტი, ბარმენი, ინტერნეტ-ტექნოლოგი, კომპიუტერული ქსელების ტექნიკოსი. შედარებით ნაკლებად პოპულარული აღმოჩნდა მევენახეობა და მეღვინეობა.

ქ-ნი ნათელა პაპუნაშვილის თქმით მეღვინე-მევენახის მოსამზადებლად ერთი პროგრამა უნდა არსებობდეს. დარგი ძალიან მოთხოვნადი და პრესპექტიულია, მაგრამ არ უნდა იყოს ცალ-ცალკე კვალიფიკაციები, მსურველების ინტერესია რომ დაეუფლონ ერთდროულად როგორც მევენახეობას, ასევე მეღვინეობას.

ბ-ნი ელგუჯა მელაძის აზრით მეღვინეობა და მევენახეობა ორი სხვადასხვა კვალიფიკაციაა და პირიქით, მიზანშეწონილია ცალ-ცალკე პროგრამების განხორციელება.

სხდომა შეაჯამა ქ-ნმა ირინე ქურდაძემ:

1. სოციალური პარტნიორობის თემატურ ჯგუფის მიერ განხორციელდეს სოციალური პარტნიორობის დოკუმენტის შესახებ მიღებული შენიშვნების განხილვა და შესაბამისად დოკუმენტისთვის საბოლოო ფორმის მიცემა;
2. რეკომენდაცია გაეწიოს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცებას;
3. ივნისის თვეში პროფესიული საბჭოს გაფართოებული სხდომის მოწვევა.

სხდომის თავმჯდომარე:

ირინე ქურდაძე

სხდომის მდივანი:

ნინო კოპალეიშვილი